საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე "ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. № 10-ში, (საკადასტრო კოდი 01.10.13.033.100) მრავალსართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები"

შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2015 წ. იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. № 10-ში, (საკადასტრო კოდი 01.10.13.033.100) მრავალსართულიანი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. № 10-ში, მრავალსართულიანი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია „ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მიერ 2014 წლის აგვისტოში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ გეოლოგი ა. პასიკაშვილი. მათ მიერ არის შესრულებული აგრეთვე გრუნტის თვისებები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლების ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით ..... 4 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 2 ფურც
6. ჭაბურღილებისა და შურფების ლითოლოგიური სვეტები ..... 3 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 14 სართულიანი შენობა.

კონსტრუქციულად იგი გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასით. შეესება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის კონსტრუქციასა და ჩაღრმავებას, იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად ავტომანქანაზე

დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 8 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 73 მეტრს. ასევე გაყვანილი იქნა არსებული შენობის დაფუძნების დასადგენად 7 შურფი საერთო სიგრძით – 16 მეტრი.

ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად. შურფების გაყვანა საჭირო გახდა იმიტომ, რომ ტერიტორიაზე არსებული 4 სართულიან შენობაზე უნდა დაშენდეს კიდევ ორი სართული. ამან გამოიწვია შენობის გრუნტული პირობების დადგენის აუცილებლობა.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები.

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი.
2. ფენა 2 – კენჭნარი.
3. ფენა 3 –გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები.
4. ფენა 4 – ნაკლებად გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება (გარდა ნაყარისა) და მათი საანგარიშო და ნორმატიული მნიშვნელობანი.

მოედნის ჰიდროგეოლოგიურ პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ზედაპირიდან საშუალოდ 4.8 მ სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. № 10-ში, (საკადასტრო კოდი 01.10.13.033.100) მრავალსართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება იმსახურებს დადებით შეფასებას და იგი შეიძლება დაედოს პროექტს საფუძვლად საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის
მეცნ. დოქტორი, პროფესორი გ. ჯოხონელიძე

№ 45

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гурам Ильич

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იდიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ალნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია
სახელმწიფო სამთამოცდო კომისიის 1972 წ.
„30" ივნისის გადაწყვეტილებით
გ.ჭოხონელიძეს მიენიჭა
ჰიდროგეოლოგის საინჟინრო გეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო სამთამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.



საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01024010539

სახელი გუგა

გვარი ჭოჭონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

პირადი ხელმოწერა

№ ღ 0266413

[illegible] ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა